ხელშეკრულება MDF/D/NSC/392-2021

პარკირების ადგილებით სარგებლობის უფლების მოპოვების შესახებ

ქ. თბილისი

Digitally signed by Municipal Development Fund of Georgia
Date: 2021.02.11 13:14:28 +04'00'

თებერვალი 2021 წელი

ერთი მხრივ **სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი** (ს/კ 206074193), წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის მოადგილის CFO ლევან შარავძის მიერ (შემდგომში - „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ **შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“** (ს/კ 202886788), წარმოდგენილი იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილების უფროსის ავთანდილ სოფრომაძის მიერ, რომელიც მოქმედებს გენერალური დირექტორის 2019 წლის 29 აგვისტოს N 01/2-1/1/2531 ბრძანების საფუძველზე (შემდგომში - „მიმწოდებელი“), თანახმად „შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თბილისის მეტროს“ საფირმო სახელწოდების შეცვლისა და კომპანიის წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანის შესახებ“ ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 24 ივნისის №16.26.565 დადგენილებით დამტკიცებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ წესდებითა და „ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სატრანსპორტო საშუალებების პარკირების რეგულირების წესისა და პარკირების საფასურის დადგენის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 27 დეკემბრის №33-99 დადგენილების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე (გამარტივებული შესყიდვის საშუალებით სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის ,,ზ” ქვეპუნქტის საფუძველზე):

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ხელშეკრულების დანართი №1-ით განსაზღვრული, შემსყიდველის კუთვნილი ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის დედაქალაქის ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ სპეციალურად გამოყოფილ პარკირების ადგილებით 1 (ერთი) წლის ვადით სარგებლობის უფლების მოპოვება (CPV კოდი: 63712400).

1.2 პარკირების უფლება წარმოიშვება შემსყიდველის მიერ პარკირების საფასურის გადახდის მომენტიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის (გადახდის მომენტიდან, სარგებლობის უფლების ვადის ამოწურვამდე) განმავლობაში.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 100.00 (ასი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

2.2 ერთი ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს (დღგ-ის ჩათვლით).

2.3 პარკირების საფასურის გადახდა ხორციელდება წინასწარი ანაზღაურების წესით, ხელშეკრულების დანართი №1-ში მითითებულ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ერთჯერადი გადახდით, უნაღდო ანგარიშსწორებით, მიმწოდებლის ქვემოთ მითითებულ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

2.4 შემსყიდველის მოთხოვნის საფუძველზე მიმწოდებლის მიერ განხორციელდება ანგარიშ-ფაქტურის გამოწერა.

2.5 სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის 3[1] და მე-10 მუხლის მე-5 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, მიმწოდებელი გათავისუფლებულია წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის შესაბამისი ოდენობის გარანტიის წარდგენისგან.

3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1 მხარეები უფლებამოსილნი არიან მოსთხოვონ ერთმანეთს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.

3.2 მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

3.3 დანართი №1-ით განსაზღვრულ სატრანსპორტო საშუალებებზე მონაცემების შეცვლის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია წერილობით 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე მოითხოვოს პარკირების საფასურის გადატანა.

3.4 მიმწოდებელი ვალდებულია 3.3 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნის საფუძველზე განახორციელოს შესაბამისი ცვლილება.

4. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

4.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.2 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზიანს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4.3 შემსყიდველის მიერ პარკირების საფასურის გადახდის გარეშე პარკირების ადგილებით სარგებლობა გამოიწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისიწნებულ პასუხისმგებლობას.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

5.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 მარტის ჩათვლით.

6 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

6.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წამოჭრილი დავები შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

6.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7 სხვა პირობები

7.1 ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.2 ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

7.3 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს შეთანხმების სახით, რომელიც თან დაერთვება ხელშეკრულებას და ჩაითვლება მის განუყოფელ ნაწილად.

7.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია (დამოწმებული კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით, ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით).

8 მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

<u>მიმწოდებელი:</u>	<u>შემსყიდველი:</u>
შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“ საიდენტიფიკაციო ნომერი: 202886788 იურიდ. მის: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2 ტელ: (995 32) 2 35 77 77 (1190) ელ. ფოსტა: info@metro.ge სს თიბისი ბანკი ა/ა GE33TB7931834070100002 ბანკის კოდი: TBCBGE22 LLC Tbilisi Transport Company Digitally signed by LLC Tbilisi Transport Company Date: 2021.02.11 14:06:46 +04'00' ---------- ავთანდილ სოფრომაძე იურიდიული სამსახურის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმისწარმოების განყოფილების უფროსი	სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი საიდენტიფიკაციო ნომერი: 206074193 მის.: დავით აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო ტელ. N: +995 32 2437001/02/03/04 ფაქსი N: +995 32 2437077 ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 ---------- ლევან შარვაძე აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO

დანართი №1

ავტოსატრანსპორტო საშუალებების სია

№	ავტოსატრანსპორტო საშუალებების მარკა და მოდელი	სახელმწიფო ნომერი, შიდა ტრანზიტი, ტრანზიტული ნომერი, ან "TEST" ნომერი
1	„ტოიოტა ჰაილუქსი"	GG - 350 –EE
2	„ტოიოტა ჰაილუქსი"	OO-024-DD

ლევან შარვაძე



აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე CFO

დირექცია